საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“
International Association CIVITAS GEORGICA

To: **ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია**

2023 წლის წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა

16.11.2023

სარეკომენდაციო წერილი

ამ წერილით, მსურს, გამოვხატო ჩემი მხარდაჭერა ონის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში საკონკურსოდ წარმოდგენილი პრაქტიკის მიმართ, რომელიც ეხება სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის.

2023 წელს ევროპის საბჭოს პროექტის “მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (ხორციელდება ათ-სთან თანამშრომლობით) ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტმა ჩატარებული საბაზისო კვლევისა და შეფასების ფარგლებში აიღო ვალდებულება ადამინის უფლებების ლოკალიზაციისთვის ადგილობრივ დონეზე.

მე მოხარული ვარ, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი წინადადება შეესაბამება აღებულ ვალდებულებებს და მეტიც, ეხება ბავშვების განათლებაზე ხელმისწავდომობის უმნიშვნელოვანეს უფლებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ონი პირველი მუნიციპაიტეტია საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომელმაც დანერგა სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ინოვაციური, ალტერნატიული ფორმა რითაც ერთის მხრივ, უზრუნველყო კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება და მეორეს მხრივ, მინიმუმამდე შეამცირე მომსახურების ხარჯები მიწოდებული სერვისის ხარისხის გაუარესების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი პრაქტიკა დაიმსახურებს ყურადღებას, მოწონებას და მხარდაჭერას. ვფიქრობ, ონის პრაქტიკა ბევრი მუნიციპალიტეტისთვის იქნება სასარგებლო გზამკვლევი.

პატივისცემით,

გიორგი მესხიძე

კივიტას გეორგიკას პრეზიდენტი

Civitas Georgica was established in 1996 by those, who believe that Georgia is a country of European values. Our mission is to promote establishment of democratic and efficient local government in Georgia, to assist democratic reforms and to advance the competent public participation in local decision-making.

წინამძღვრიშვილის 97, თბილისი, 0164, საქართველო
97 Tsinamdzgvrishvili str,. Tbilisi, 0164, Georgia
ტელ/Tel +995 0322 951991
ფაქსი/fax +995 0322 951991
E-mail: office@civitas.ge